# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 54

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში, 2016 წლის 30 აგვისტოს

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ირინე მაისურაძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს „ბურჯის“ დირექტორის გიორგი ქსოვრელის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ სახსრებით, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან #1 განყოფილებისათვის და ჩიხის განყოფილებისათვის ბეტონის შესყიდვა ( 44100000 კოდით) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

### 2. "საქონელი"

2.1 „საქონლის“ მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

### 3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 „საქონელის“ ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 „საქონელის“ საერთო ღირებულება განისაზღვრება 630,00 (ექვსასოცდაათი) ლარის ოდენობით.

### 4. „საქონელის“ მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 „საქონელის“ მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. 2016 წლის 20 სექტემბრამდე.
4.2 „საქონელის“ მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

### 5. „საქონელის“ მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „საქონელის“ მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით (მიღება-ჩაბარების აქტით) დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

### 6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 „საქონლის“ ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი ვალდებულებას აუნაზრაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან და სხვა დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პი
დაცვაზე.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ
განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პი
შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული „საქონელის" ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრ
გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებული ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.5 საქონლის მიწოდებიდან 3 წლის განმავლობაში შეაკეთოს არაშემსყიდველის მიზეზით აღმო
საქონლის დაზიანება.
7.6 1 წლის განმავლობაში უსასყიდლოდ ააწყოს ინსტრუმენტი.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამ
პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომ
ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან
ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გ
შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებ
ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატ
ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელ
მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყ
საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 20 ოქტომბრამდე.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ მხარეი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა ვადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებანი დასრულების შემდეგ.

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

20497374 2

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

## 11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

## 13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ | შ.პ.ს „ბურჯი“ |
| მისამართი: ქ. საჩხერე, თავისუფლების ქ#3 | მისამართი: ქ. საჩხერე, თამარ მეფის ქ#11 |
| სახელმწიფო ბაჟის | საბანკო რეკვიზიტები: ს.ს ლიბერთი ბანკი |
| საიდენტიფიკაციო ნომერი: 239396346 | ბანკის კოდი: LBRTGE22 |
| არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ | ა/ა GE17LB0113175245564000 |
| დირექტორის მოადგილეობის შემსრულებელი: | საიდენტიფიკაციო ნომერი: 204973742 |
| | შ.პ.ს „ბურჯის“ დირექტორი: |
| ი. მაისურაძე | გ. ქსოვრელი |

დანართი #1

ჩამონათვალი ერთეულის ფასების მიხედვით

| # | დასახელება | კოდი | განზომილება | რაოდენობა ცალი | ერთეულის ფასი | საერთო თანხა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | #1 განყოფილება ბეტონი მ$^3$ | 44114000 | მ$^3$ | 3 | 150.00 | 450.00 |
| 2 | ჩიხის განყოფილება ბეტონი მ$^3$ | 44114000 | მ$^3$ | 1 | 180.00 | 180.00 |
| | | | | | | 630.00 |

ა.ი.პ "საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ი. მაისურაძე

შ.პ.ს "ბურჯის" დირექტორი: გ. ქსოვრელი